№ 68 მარტი 30, ხუთშაბათი 1889 მარტი 30, ხუთშაბათი № 68

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ამ მოკლე ხანებში გამოვა ახალი რუსული წიგნი, შედგენილი ბ-ნ ჟღენტის მიერ:

„ნიმუშად გაკეთებულნი ამოცანანი მათემატიკისანი“

ალგებრისა, ელემენტარულისა და ანალიტიკურის გეომეტრიისა, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის წესით გაკეთებულნი ამოცანანი გეომეტრიისა და არითმეტიკისანი.

ფასი ორი მანეთი.

სათავად-აზნაურო სკოლაში ნასწავლ უმაწვილებს შეუძლიანთ უფასოდ მიიღონ ეს წიგნი ავტორისაგან, ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 88, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

წიგნის მაღაზიებში ისყიდება იმავე ავტორის „გვარ-ტომობის ხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“, ფასი 25 კაპ.

აგრეთვე ისყიდება ბ-ნ ჟღენტისავე „კონსპექტი შუა საუკუნეთა ისტორიისა“, ფასი 50 კაპ. (3—3)

კვირას, 2 აპრილს

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები: ა) გასულ სეზონის ანგარიშის განხილვა; ბ) ახალის მმართველობის არჩევა და გ) საზოგადოების ახალის წევრების არჩევა.

სხდომა დაიწყება დილის 11 საათზედ.

ტფილისი, 29 მარტი

ამ დღეებში თავ. ბისმარკს სამოც-და-თოთხმეტი წელიწადი შეუსრულდა და ამიტომ სახელოვანმა პოლიტიკოსმა თავისი დღეობა გადაიხადა. ბისმარკი ეს ოც-და-ათი წელიწადია, რაც გერმანიის პოლიტიკის სათავეში სდგას და დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე. ამ კაცმა ბევრი შრომა და მეცადინეობა დასდო გერმანიის გაძლიერებისა და გაერთიანებისათვის და ბევრი ცვლილებაც მოახდინა მთელს ევროპაში. ბისმარკის პოლიტიკამ დასცა ავსტრია და საფრანგეთი და პოლიტიკაში პირველობა და მეთაურობა დაუმკვიდრა გერმანიას. ბისმარკს ბევრი განსაცდელი გამოუვლია, ბევრი უსიამოვნება და დაბრკოლება დახვედრია წინ, მაგრამ თავისის მხნეობითა და ოსტატობით თავისი აზრი და საგანი არავისათვის დაუთმია. განსაკუთრებით ამ ორიოდე წლის განმავლობაში ბისმარკს ბევრი გაჭირება დაატყდა თავზე, მაგრამ არც მოხუცებულობის დროს შეუშინდა თავისს მოპირდაპირეთ და დღესაც ხმა-მაღლა გაიძახის, რომ ჩემი პოლიტიკა საუკეთესოა გერმანიისათვის და ძველს გზას არ დავაგდებო. თავისს დღეობა დღეს ბისმარკმა სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით ძალაც შემწევს და მოხერხებაცა და სამშობლოს ჩემებურად ვემსახურებიო.

როგორც ვსთქვით, ბისმარკს ამ ბოლო ხანებში ბევრი დაბრკოლება დახვედრია წინ და ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ იმის პოლიტიკას ცოტად თუ ბევრად ფრთა შეეკვეცებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, ბისმარკი თავისს თავს გამარჯვებულად ჰგრძნობს და ამიტომ ესე თამამად და გაბედულად ჰლაპარაკობს თავისს წარსულსა და მომავალს სამსახურზე.

როგორც იუწყებიან, ბისმარკი ამ ჟამად იმდენად ჯან-მრთელად არის, რომ დიდხანს შესძლებს სამსახურს. ერთის სიტყვით, ბისმარკს ხელის შემშლელი არავინა ჰყავს და არც არაფერი ეგულება. ევროპას კიდევ დიდი ბრძოლა დასჭირდება ბისმარკის პოლიტიკის დასამარცხებლად. ჯერ-ჯერობით-კი გერმანია თავისს თავს შიშს გარეშე ჰგრძნობს, ამ ჟამად თითქმის ყველა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება დააქვს ასე გასინჯეთ, თვით საფრანგეთსაც ტკბილის ენით ესაუბრება. სწორედ ეს უნდა იყოს თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ ბისმარკი თავისს თავს გამარჯვებულად ჰგრძნობს და გერმანიას წინანდებურს სამსახურს ჰპირდება.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** წარსულს ორშაბათს ტფილისის საქალაქო საბჭოს მორიგი კრება ჰქონდა და ლაპარაკი ახალის თეატრის დამთავრებაზე იყო. რადგან ძალიან დაგვიანდა, ამიტომ ამ საგნის გადაწყვეტა გადაიდო შემდეგის კრებისათვის, რომელიც 3 აპრილს იქნება.

*** ამ დღეებში ჩამოიტანეს სიონის საეკკლესიო მუზეუმში ძველი საეკკლესიო ნივთები იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდამ. ამ ნივთებში ბევრი მეტად ხელოვნურად ნაკეთი ნივთი ურევია და დიდი მნიშვნელობაცა აქვს საეკკლესიო არხეოლოგიისა და ხელოვნებისათვის. მეტადრე შესანიშნავებია არქიელის შესამოსლები, ოქრომკედით ნაკერი. შესამოსლებზე აბრეშუმის ფერადის ძაფებით დიდის მოხერხებით არის მოქარგული ყვავილები, რომელიც ღამე სანთელზე საამურად ბრწყინავს. საქართველოს ეგზარხოსს დიდად მოსწონებია ეს შესამოსლები და მათი ნაკეთობა. ხელ-ნაწერებს ზემოხსენებულის უდაბნოსას ამ დღეებში ელიან. უდაბნოში ნივთებისა და ხელ-ნაწერების ჩამოსატანად ეგზარხოსის განკარგულებით გაგზავნილნი იყვნენ თავმჯდომარე მუზეის საბჭოსი ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე და მდივანი დეკ. კალისტოვი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იმავე მუზეის საბჭოს გადაუწყვეტია თითო აბაზი ახდევინოს ყველას, ვინც მუზეის ნივთებისა და ხელ-ნაწერების დათვალიერებას მოინდომებს.

*** მცხეთის ტაძრიდამ ჩამოტანილს ხელ-ნაწერებში აღმოჩენილა სხვათა შორის ერთი საყურადღებო ხელ-ნაწერი, რომელსაც სძლის პირი ეწოდება და შიგ ჩართულია ნაწერები არსენი გულმაისის ძისა, რომელიც კათალიკოზად იყო, შავთელისა და გამოკვლევა ჩვენებურის წელთ აღრიცხვისა და ბერძულისა. ხელ-ნაწერი ტყავზეა დაწერილი მეცამეტე საუკუნის დამდეგს, 1233 წელს.

*** ყალბის აბაზიანებისა და სამშაურიანების შესახებ კიდევ შემდეგი ამბავი შევიტყეთ: როგორც ვიცით, ამ საქმის გამო ორნი არიან დატუსაღებულნი: ალექსი ამირხანოვი და გრიგოლ მუშკურიანი. ამ ორში პირველი აკეთებდა თურმე და მეორე ასაღებდა. ალექსი ამირხანოვი წინად სპარსეთის ქვეშევრდომი იყო და მაჰმადიანთ სარწმუნოებას ადგა, ხოლო

## ფელეტონი

### მშვენიერი ნივერნეზა

IV[*])

ვიქტორი შესრულდა თხუთმეტის წლისა. ყმაწვილი შეუმჩნევლად წამოიზარდა და რაც წლოვანება ჰქონდა, იმაზედ მეტად დასრულდა. ვიქტორს უკვე კარგად აქვს შესწავლული „მშვენიერ ნივერნეზას“ გზა-კვალი. გამოცდილ მენავესავით ერთის თვალის დაკვრით იგებდა ვიქტორი წყლის სიღრმე-სიფართოვეს და შესაფერის მოხერხებით ასრულებდა მენავისხელობას. თავისისსურვილისამებრ ვიქტორს შეუკერეს მენავის ფართო ხალათი და შემოარტყეს წითელი სარტყელი. ლუვომ ჩააბარა თუ არა ვიქტორს გემის საჭე, კლარა განუშორებლივ იჯდა იმის გვერდით. თუმცა არც კლარა იყო ცუდად, ყოველთვის ხელ საქმე ეჭირა ხელში, მაგრამ მეგობართ ლაპარაკს საქმე არ უშლიდა. ამ მგზავრობაში კარბინიდამ პარიჟამდე გზა ცოტა სახიფათო იყო. სენა საშინლად ადიდდა, გადმოხეთქა ნაპირები და გააფთრებულ ნადირსავით მიჰქროდა ოკეანესაკენ. ყველა გემის პატრონი გაფაციცებით სცლიდა გემს, რადგან წყალმა ნავთსადგურამდინაც მიაღწია და ყოველ წამს საშიშო ღელვები მოდიოდა; ნავთსაყუდელზე ხალხი ბუზსავით ირეოდა; ყველა ფაცურობდა, ყველა ეშურებოდა მალე გაეტანა საქონელი გემიდამ. წყალმა იმატა. შეშინებული ხალხი გაიფანტა. რაც-კი მოასწრეს, წაიღეს და გაეშურნენ ქალაქისაკენ. ლუვოს გემს გზაზედვე მოასწრო წყალდიდობამ. გემმა დაიგვიანა და ლუვომ ვერ მოასწრო იმისი დაცლა. მაინც ლუვო სხვასავით არ შეშინდა და ღამ-ღამეც-კი მუშაობდა. ღამის თერთმეტს საათზე გემი მთლად დაცალეს და მთელი საპალნე ქვის მოაჯირის იქით წყლის ნაპირ დედამიწაზე დააწყეს. დურგალი დიუბაკი არსადა სჩანდა. ლოდინ-მუშაობით დაქანცული ლუვოს სახლობა ძილს მიეცა. მაგრამ ამ საშინელს ღამეში განა ძილი შეიძლება? დილამდის განუწყვეტლივ ისმოდა გემის ჯაჭვების ჩხარუნი და წყლის გაბრაზებული ღრიალი. თვით მოხუცი „მშვენიერი ნივერნეზაც“ მომაკვდავ ავადმყოფსავით ჰკვნესოდა. ბიძია ლუვო, დიასახლისი, ვიქტორი და ეკიპაჟი განთიადისას ადგნენ, ბავშვები ოთახში დასტოვეს და თითონ საქმეზე გავიდნენ. ღამე სენას საგრძნობლად მოემატნა... ლაფ-მორეულ ზღვასავით განიერს მთელი არემარე თან მოჰქონდა. ნავთსაყუდელზე არავინ სჩანდა. მდინარეზე ნავის, ან გემის ჭაჭანებაც არ იყო. ირგვლივ შავ-კუმეტსავით ბურუსი ჩამოწოლილიყო. ბურუსში მხოლოდ პატარა წერტილსავით მოჩანდა პარიჟის ღვთის-მშობლის ეკკლესიის გუმბათის ჯვარი. საქმეს დაშურება უნდოდა. წყალი მოაჯარს გადასულიყო და აქ დალაგებულ ხე-ტყის წაღებასაც ჰლამიდა. წელამდის წყალში იდგნენ ფრანსუა, იმისი ცოლი და დიუბაკი და მარდად ავსებდნენ ურმებს. მახლობლად უცებ საშინელი ჯახანი მოისმა და მასთან ერთად ხალხის ქრიამული გაისმა. უშველებელი ქვა-ღორღით სავსე ფუტურო მორგვი მიაგდო წყალმა, მოსწყვიტა გემს საჭე და მიახეთქა წყლის ქვიან ნაპირს. წყალმა გადმოჰკრა და მთელ ნაპირს მოედო. მეორე უცებმა ყვირილმა შესწყვიტა წუთიერი მდუმარება. „მშვენიერ ნივერნეზას“ თოკებმა ვეღარ შეიმაგრა ორისავე მხრით ტალღების ცემა—დასწყდა და წყალმა მოჰგლიჯა გემი ნაპირიდამ. ლუვოს ცოლმა შენიშნა თუ არა ეს, საზარელის ხმით დაიკივლა: „ბავშვებიო!“ თვალის დახამხამებაზე ვიქტორი შევარდა გემის ოთახში, დასტაცა ხელი აკვანს და შიგ მწოლარე ბავშვი გამოიტანა გარეთ. კლარა და მიმილი ტირილით გამოჰყვნენ უკან. „წაიყვათ ბავშვები!“ გაჰკიოდა ვიქტორი, მაგრამ ამაოდ, მშველელი არსადა სჩანდა. ნავი! მაგრამ სად იყო ნავი? თოკი? არა, საქმე გაჭირებულია. ეკიპაჟიც გიჟსავით დარბის ბარქაზზე. საქმეს დახანება აზნევდა. ვიქტორმა შეიყვანა ბავშვები ისევ ოთახში, ავარდა საჩქაროდ საჭესთან და შეუდგა საქმეს.

— მარჯვნივ! ნაპირისაკენ! თოკი! გაჰკიოდა ვიქტორი, მაგრამ „მშვენიერი ნივერნეზა“ მეტად მოჰშორდა ნაპირს და თოკს ვეღარ აწვდენდნენ ახლა-კი სხვის შველის იმედი ჩამოეცალა ვიქტორს.

— ნუ შეშინდებით! — გაამხნევა ბავშვები ვიქტორმა და მოხერხებულ მენავესავით გაასისწორია გემი სწორე გზისკენ. ფრანსუა იდგა ნაპირზე ჰხედავდა გემის მოახლოვებულს უბედურებას და ის-ის იყო წყალში უნდა გადავარდნილიყო, რომ დროზე დიუბაკს არ დაეჭირნა. ლუვოს ცოლი ხომ იკაწრიდა თავ-პირს და საზარელის ხმით სტიროდა დაღუპულ შვილებს.

ნაპირზე ასეთი ამბავი იყო მაშინ, როცა „მშვენიერი ნივერნეზა“ ნიავსავით მიჰქროდა ქვევითკენ, აუსტერლიცის ხიდისკენ. ვიქტორს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრად ეჭირა საჭე, ამხნევებდა ბავშვებს და არიგებდა ეკიპაჟს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მშვიდობით გადაერჩებითო, რადგან წინა იალქნის გზის მაჩვენებელი წითელი ბაირაღი ხელში ეჭირა. ხიდთან მიახლოვებამ ცოტა შეაყოყმანა ვიქტორი. თაღის ქვეშ გაეტევა გემი, თუ არა? რომ არ გეეტიოს? ხიდი ცხვირ-წინ არის.

— ეკიპაჟო, ხალას მოაცლე ხელი! კლარა, ბავშვებს არ მოჰშორდე!

თითონ-კი ჩამოეკანჭურა საჭეს და გვერდის ქარის სიძლიერე იგრძნო. გემი უცებ ბნელმა მოიცვა. „მშვენიერი ნივერნეზა“ სწრაფ შექანდა ხიდ ქვეშ! ხიდზე შეყრილმა ხალხმა შენიშნა, რომ ხის-ფეხა მენავემ კედელს მოსდო ხალა და საჩეხზე გაიშოტა.

— გარპუნ! გარპუნ! თოკი გადუგდე! მოესმა ვიქტორს. «მშვენიერი ნივერნეზა» ხიდს ქვეშ იყო. ვიქტორმა კარგად გაარჩია უშველებელი თაღები და ურიცხვი რკინის კოჭები. გემი უცებ ნათელით შეიმოსა და მოისმა ერთგული ყვირილი ხალხისა. გემი შესდგა. მენავეედ მოსდეს გემს რკინის კავი. ვიქტორმა მოითრია თოკი და მაგრად შემოახვია ფიჭვის ანძებს. დამარცხებული „მშვენიერი ნივერნეზა“ პატარა ბავშვებითა და თხუთმეტის წლის უფროსით მძიმედ მიცურდა ნაპირზე. განა სათქმელია, რა სიამოვნება-სიხარულით შეიკრიფა მთელი ოჯახი სალამოთი ვახშმად გემის ოთახში? პატარა გმირი საპატიო ადგილას იყო გამოჭიმული. სიხარულისა და სიამოვნებისაგან ქამის მადა ყველას შეეკრა. ფრანსუა გადიხარა ცოლისაკენ და ღიმილით წასჩურჩულა.

— კინაღამ არ დამაიწყდა! სწორედ რომ კარგი დროა ეხლა. თუ გინდა, ვიქტორს პოლიციაში წავიყვან, —სთქვა ლუვომ და დაიწყო სიცილი. მასთან ერთად იცინოდა, ხარობდა მთელი ოჯახი, თითქო ოცი ათასი თუმანი მოიგესო... ლუვო ლაპარაკში ქება-დიდების ნიშნად ხშირად დაჰკრავდა ხოლმე ხელს ვიქტორს ზურგზე:

*) იხ. „ივერია“ №№ 60, 61 და 65.

ცოლის შერთვის დროს მართლ-მადიდებლობა მიიღო და რუსეთის ქვეშევრდომი შეიქმნა. ცოლის შერთვის შემდეგ თათრის მეიდანს ახლო მეწვრილმანის დუქანი ჰქონდა, მაგრამ სიმთვრალეში გაჰფლანგა და დაკეტა. მერე საზანდარ აბდულ ბალის დასტაში შევიდა, თარს უკრავდა, მაგრამ არც აქ დაუჯდა ბედი ალჩუს და ყალბის ფულის კეთებას მიჰყო ხელი თავისს სადგომში, ახლო პოლიციის მე-5 ნაწილისა,—სადაც ბოქაულმა მე-10 ნაწილისამ გლებოვმა ფულის საკეთებელი ქარხანა, სხვა იარაღი, რამდენიმე ყალბი რუსული ფული და თათრული მეჯიდიე აღმოაჩინა. ეს ყალბი ფული ისე კარგად არის გაკეთებული, რომ ძალიან გამოცდილი კაციც ვერ შეატყობს. როცა ამირხანოვი, 45 წლისა, შეიპყრეს, თავი დამნაშავედ აღიარა, ყოველივე ბრალი თითონ იკისრა, ხოლო სთქვა, რომ სიმთვრალისაგან მომივიდაო. არა სთქვა, სად ეშოვნა ყალბის რუსულ ფულის გასაკეთებელი მანქანა და ან საიდგან ჩაუვარდა ხელში თათრული ფული მეჯიდიე, რადგან ამ ფულის მანქანა ვერ უპოვნეს. შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მეჯიდიესაც იგი აკეთებდა. პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულის ხელქვევითის ვოლობუევის მიერ შეპყრობილმა გრიგოლ მუშკურიანმა, რომელიც ამირხანოვისას-კი არ დაიჭირეს, როგორც ჩვენ გვქონდა გამოცხადებული, არამედ თავისს სახლში, კუკიაში,—გამოაცხადა, რომ მართალია, მე ვავრცელებდი ფულსა და ვასაღებდიო. მუშკურიანი მე-9 ნაწილშია დაპატიმრებული, ხოლო ამირხანოვი—მე-10 ნაწილში. ნაპოვნი მანქანა, იარაღი, ყალბი ფული და ფულის საკეთებელი მასალა-კი ბ-ნს ტფილისის პოლიცმეისტერსა აქვს გადაცემული.

*** სამშაბათს გამართული იყო სამუსიკო საღამო ტფილისის საკრებულოში (Собраніе), რომელზედაც თავი იჩინეს ახალმა მომღერალმა მანდილოსნებმა: პოდობედისამ და ლიდებულიძისამ. ორივეს სასიამოვნო სიმღერებისათვის ხმაც შესწევთ და გალობის ხელობის ცოდნაც ეტყობათ. საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა იმათი სიმღერა, რამდენჯერმე გაამეორებინა და დააჯილდოვა ხშირის ტაშის-კვრით

*** მოსკოვში ბუნების-მეტყველების მოყვარეთა საზოგადოების ეთნოგრაფიულს განყოფილებაზე ბ. ნს ა. ხახანაშვილს წაუკითხავს რეფერატი: „როგორ დღესასწაულობენ ქართველები ახალს წელიწადს“. თავისს რეფერატში ბ-ნი ხახანაშვილი შეჰხებია ინგილოელებს, ქართლელებს, გურულებსა და ჯავახელებს.

*** **მეჯვრისხევი:** მეჯვრისხეველებს რომ საქმე მოგვივიდა, კაცი ვერ წარმოიდგენს. შარშან, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, დილიჟნების გამო ერთი დავიდარაბა ასტყდა: უთუოდ ოსმა უნდა ატაროს და არა ქართველმა სოლოლაშვილმაო, რომელიც მეჯვრისხეველი მცხოვრებელია. ამისთანა საქციელის გამო მეჯვრისხეველები ძალიან გაჰმათრახეს „ივერიაში“, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყეს, თუმცა-კი კარგა ხანს ეწვოდათ ნამათრახევი. რომ გაუჭირდა სოლოლაშვილს საქმე, ადგა და შეუერთდა მედილიჟნე-ოსს, მეჯვრისხეველების საყვარელს. ამ ჟამად ორის დილიჟნის მაგივრად ერთი-ღაა, შეერთებული დილიჟანი სოლოლაშვილისა და ოსისა. წინად, როცა ორი დილიჟანი მუშაობდა, ცილობის გამო, ოსს დაჰყავდა ორ აბაზად, სოლოლაშვილს—ექვს შაურად. ბარგზე არც ერთი და არც მეორე ხარჯს არ ართმევდა მგზავრებს. ეხლა-კი, შეერთების შემდეგ, საქმემ ფერი იცვალა. ორ აბაზ და ექვს შაურ ნაცვლად ათი შაური გახადეს, ასე რომ მისვლა-მოსვლა გორამდე მანეთი ჯდება. ამას გარდა ბარგზედაც უნდა აძლიოს მგზავრმა რაოდენობის დაგვარად. ძალად ჭირის ატეხა აი ამასა ჰქვიან! რა უნდოდათ ამ დალოცვილს ჩვენებურებს, რომ ოსის დილიჟანს ევლოთ და შეღავათი ჰქონიყო ჩვენს ჯიბეს. ასეთი ხრიკი გვიგდო ოსმა. სწორედ ამბობდა მაშინდელი კორრესპონდენტი, რომ ოსი ჩუმად არის და ულვაშს იგრეხსო. ეხლა სოლოლაშვილის ლოცვა-კურთხევაში არიან, მაგრამ საქმეს რაღა ეშველება. სოლოლაშვილი ამბობს: არ გინდოდათ ჩემი სიარული და ახლა მომეტებული გვაძლიეთო. დაბალი ხალხი სულ აღარ დაიარება დილიჟნით სიძვირის გამო. საზოგადოდ ეხლა მგზავრი ცოტა ჰყავთ.

*** **გორი:** ამ გამოზაფხულზედ ქ. გორში ძალიან მოდებულია წითელა; სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იწვეს; ზოგან მთელი სახლობაა ავად. ალაგ-ალაგ ყვავილმაც იჩინა თავი. არც ერთს ავადმყოფობას ზარალი არ მიუცია ხალხისათვის, რადგანაც ძალიან ადვილად ჰხდილობენ.

*** **იქიდამვე:** ამ დღეებში ქ. გორში დაიჭირეს ერთი ახალციხელი ებრაელი, რომელიც ყალბს ჩაის ჰყიდდა. მყრალს ჩაის ახვევდა სუფთა ქაღალდში, ზემოდამ უკეთებდა პაპოვის ფირმის სახვევს და იაფ ფასად ასაღებდა ვითომ-და ორ მანეთიანს ჩაის.

*** **იქიდამვე:** ამ გამოზაფხულზე, ე. ი. მარტში, ძალიან მიჰყვეს ხელი დუქნების მტვრევას; პატარიდამ დაიწყეს და დიდზედ ავიდნენ. ერთს მკუპრავს გაუტეხეს დუქანი და გაიტანეს ხუთი ახლად მოკუპრული ტიკი. აბა საცოდავს მკუპრავს სხვა რა ექნებოდა. ამ თვეშივე თავ. დიასამიძის სახლებში, იმ ოთახში, სადაც არის გამართული ქართული თეატრი, დიდი ფანჯარა ამოუღიათ, გადასულან ქურდები და ხელს რომ ვერა მოხვედრიათ-რა, ლამპარის მინები წაუღიათ და ორი დიდი კედლის ლამპარიცა.

მაგრამ ეს არაფერია იმ დიდს ქურდობასთან, რომელიც მოხდა 24—25 მარტს. ღამის სამს საათზედ დასცემიან ავაზაკები გორის ვაჭარ ზ. დანდაროვის დუქნის ასასს, თავში დაუჭრიათ, უცემიათ და ცოცხალ-მკვდარი დაუგდიათ. შემდეგ გაუტეხნიათ მაღაზია და ას ოცის თუმნის ვერცხლეული გაუტანიათ. დ—ს მაღაზია მდებარეობს მომრიგებელ სასამართლოს ახლო, გარეშემო მდგმურები ახვევია, ქუჩა დიდი და განიერია, რომელზედაც მთელი გორი დაიარება. იქვე სხვა მაღაზიებიც არის და ყველას ასასები ჰყავთ. კიდევ კარგი, რომ ქართველთა საკრებულო ეკლესიის ზარი ადრე დაურეკიათ ცისკრისათვის, თორემ სულ ერთიანად გაალაგებდნენ მთელს მაღაზიას. ეკლესია, სულ ათს საჟენზედ იქნება მაღაზიიდამ და ამიტომ მოერიდებიან და მალე გასცლიან. ყველას ეწყინა გორში დ—ს გაქურდვა, რადგანაც ერთად-ერთი პირიანი და რიგიანი ვაჭარია ჩვენში.

პოლიცია ძალიან დაეძებს, დიდს ფაცა-ფუცშია, საეჭვო პირებიც იმ დღესვე შეიპყრეს, მაგრამ ჯერ არ გამოტეხილან. ვინ იცის, იქნება ამ ქურდობამაც ისე ჩაიაროს, როგორც სომხების ეკლესიის გაქურდვამ. თუ ასე ენერგიულად მოეკიდება საქმეს პოლიცია, როგორც დღეს დ—ს საქმის გამოა, შეიძლება ქურდები აღმოაჩინონ, თორემ თუ ესეც შერჩათ, შენი მტერი, სახლებში შემოგვიცვივიან და აგვიკლებენ, ისე თამამად დანავარდობენ ქურდები.

*** **ქართლი:** მუდამ წელიწადს, მუდამ გაზაფხულზე საჩივარი იწერება გაზეთებში, რომ სკრის ხიდი, რომელიც ასე საჭიროა მთელის ზემო-ქართლისათვის, ვერ შეაკეთეს. აგერ დადგა გაზაფხული, წყლები ადიდდა და შესწყდა მისვლა-მოსვლა რუისისა და მთელ ფრონის ხეობისაკენ. ამ სიცივეების გამო მტკვარმა ცოტა იკლო და ამიტომ ბორანის მუშაობას არ უშლის, მაგრამ ცოტა გათბება თუ არა, წყალი მოვარდება და მაშინ ბორანიც ეღარ იმუშავებს. ვერ მოახერხეს, რომ სკრის ხიდი გაემართონ. ამ დალოცვილებმა, ლამის მთელი ქართლი ჩახოცონ ლიახვის მაგრებაში, რომ გორის დასავლეთის ნაპირი შეიკავონ, და ამ ხიდს-კი ყურადღებას არ აქცევენ. უმჯობესი არ იქნებოდა, ეს ამოდენა ხალხი სკრის ხიდისათვის დაეხვიათ და გაემართნათ, გორში უსარგებლოდ მუშაობას, და გორს-კი თვით ეზრუნა თავის გამაგრებაზედ. სკრის ხიდი მთელის ქართლისათვის ისეთი საჭიროებაა, როგორც ადამიანისათვის პური და წყალი.

გზებია და ისე წახდა ამ გაზაფხულზედ, რომ ადამიანს აღარ გაევლება; გზა-ტკეცილები სულ დაღორო-ჩოღროვდა, მაგრამ ვინ მიჰხედავს ამ წახდენილს გზებს, ვისა სცალიან იმისათვის. ხალხს არ მოაცალეს კიდევ ამ ლიახვის გამაგრების გამო. ლამის მთელი ქართლი ამ მატრაბაზთა ქალაქს ანაცვალონ.

*** **ქუთაისი:** 23 მარტს საქალებო გიმნაზიის დარბაზში გამართული იქმნა კონცერტი. ეს მეორედ არის, რომ ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის შეგირდები ზოგიერთ მასწავლებლების თანადასწრებითა და დახმარებით ჰმართავენ კონცერტს. მონაწილეობას იღებდა თვით გიმნაზიის ინსპექტორიც, ბ-ნი სტოიანოვი. ყველაზე საყურად-

---

— ყოჩაღ, ყოჩაღ ვიქტორ! შენიშნე, ეკიპაჟო, რა მოხერხებით ჰხმარობ და საჭეს, მაგრამ მკვდარსავით გაშოტილი რას შენიშნავდი! სწორედ რომ საუცხოვოდ ჰხმარობდა საჭეს! მე მოხუცი მენავე ვარ და უკეთესად ვერ მოვიხმარებ! ხა! ხა! ხა!.. ეს ამბავი ამხანაგებთან სალაპარაკო მასალად გამოიყენა ლუიომ: გესმით, გემი მოიტაცა თუ არა წყალმა, იმან მაშინათვე სტაცა ხელი საჭეს და... ხელების ქნევით აჯავრებდა ვიქტორს...

სენამ თანდათან იკლო და წასვლის დროც მოახლოვდა. ერთს მშვენიერს დილას ვიქტორი და ფრანსუა გემის ნავის ძირში შესულს წყალსა ჰღვრიდნენ, როცა ფოსტის მსახურმა მოიტანა წერილი. წერილი ლურჯის ბეჭდით იყო დაბეჭდილი. მენავემ ხელის ცახცახით გახსნა წერილი, მაგრამ თითონ რომ არ იცოდა კითხვა, ვიქტორს გადასცა წასაკითხად.

— წამიკითხე, გეთაყვა, რა არის

ვიქტორმა წაიკითხა: სამწერლო პოლიციის მე-12 ნაწილის კომისარისა. ბ-ნ ლუიოს (ფრანსუას), გემის პატრონს. ამ მცირე ხანში მოგიწოდებთ პოლიციის მე-12 ნაწილის კომისართან მეტად საჭირო საქმის ასახსნელად.

— სხვა არაფერი?

— არაფერი.

ლუიო მთელი დღე დაიკარგა.. საღამოთი მეტად აღელვებული და ამღვრეული დაბრუნდა ლუიო. ძალზე დაფიქრებული, გაჩუმებული იჯდა და აჟინებით სწევდა ჩიბუხს. დიასახლისს ვერაფრით აეხსნა ქმრის ასეთი მდგომარეობა. როცა ბავშვები გავიდნენ საჩეხზე, მაშინ ცოლმა ჰკითხა ლუიოს:

არ იტყვი, რა ამბავია.

ლუიომ ყველაფერი უამბო.

— იცი, ის დედაკაცი, რომელმაც ქუჩაზე გადააგდო ვიქტორი, მაგისი დედა როდი ყოფილა?

— რას ამბობ?!. თურმე ეგ ბავშვი მოპარული ჰყოლია და ეხლა სიკვდილის წინ ყველაფერი უთქვამს კომისარისთვის.

— მაშ შეიტყე ვიქტორის მშობლების ვინაობა?

ლუიო შეკრთა.

— ეგ რა საჭირო იყო?

— როგორ თუ საჭირო არ იყო! მაშ ტყუილად დაგიბარეს პოლიციაში?

ლუიომ დაჰკარგა მოთმინება.

— რომ ვიცოდე, ხომ გეტყოდი კიდეც! წამოიძახა და გაბრაზებული გავარდა გარეთ. დიასახლისი სახტად დარჩა.

— ნეტა რა დაემართა?

მართლაც, რა დაემართა ფრანსუას? ამ დღიდამ მთლად შეიცვალა. აღარც სჭამს, აღარც ჰსვამს... მთელი დღე უთავ-ბოლოდ ჰხეტიალობს და ღამე-კი ცოლს ეჩხუბება. მომეტებულად-კი ეკიპაჟს, ბავშვებს და უფრო ვიქტორს უბუზღუნებს. როცა-კი გაოცებული ცოლი ჰკითხავდა:

— აღარ იტყვი, რა ეშმაკმა გადაგრიაო!

ლუიო მწუხარედ შეუტევდა:

— არაფერი! რა უნდა იყოს! გესმის, არაფერი! თუ ღმერთი გწამს, ნუღარას მკითხავ.

საწყალი ცოლი! სწორედ უბედურს ყოფაში ჩავარდა! „ლუიო ჭკუაზე შესცდაო!“ გადასწყვიტა ცოლმა. ეს აზრი მოჟანდრთან უკანასკნელმა შეხვედრამ უფრო განუცხოველა დიასახლისს. პარიჟიდამ დაბრუნებული გემი უახლოვდებოდა კორბინს. ვიქტორი და კლარა ლაპარაკობდნენ სასწავლებელზე და მოიგონეს მოხუცი მეგობარი მოჟანდრი. მოჟანდრის ხსენებამ ლუიო საშინლად გააცეცხლა.

— მე გთხოვთ აღარ გაიხსენოთ მოჟანდრი! მე აღარა მსურს იმასთან რაიმე-და კავშირი ვიქონიო.

ლაპარაკში ჩაერია დიასახლისი.

— მერე ცუდი რა გიყო მოჟანდრმა?

— რაო? ის, რომ... მაგრამ ეს შენ არ შეგეხება... აქ უფროსი მე ვარ და...

უფროსი! მერე რა უფროსი-და! გემი კორბინში-კი არა, სამ ვერსზე ქვევით გააჩერა ტყის მახლობლად. ლუიომ იმითი გაიმართლა თავი, რომ ახალ მოვაჭრესთან მინდა დავიწყო საქმე და ამიტომ არ შევუხვიე კორბინშიო. გემი სოფელზე ძლიერ შორს იდგა და ბავშვებს აღარ შეეძლოთ სკოლაში სიარული. უსაქმო ვიქტორი და კლარა მთელი დღე ტყეში დადიოდნენ და ცეცხლისათვის ხმელს შეშა-ფიჩხს ეზიდებოდნენ. როცა-კი დაიღლებოდნენ, შეკრულს გუდურებს მიაწყობდნენ გვერდზე, ჩასხდებოდნენ ყვავილებში და ჰსიამოვნებდნენ ფრინველთ ჭიკჭიკითა და ბუნების სიმშვენიერით... ხშირად ისე გაიტაცებდა მეგობართ ბუნების ათასფეროვანება, რომ კარგა დაუგვიანდებოდათ ხოლმე ტყეში. მაშინ-კი სირბილით გაექანებოდნენ შინისკენ. ბავშვები შორიდამვე ჰხედავდნენ მშვენიერ ნიჟერნეზას ანძას და იმის პირდაპირ წყლის ნაპირას გაჩაღებულს ცეცხლს. დიასახლისი საჭმელს ცისქვეშ ამზადებდა. იმის მახლობლად ძუძუთა ბავშვი და მიმილი თამაშობდნენ, ცოტა მოშორებით-კი ისხდნენ ლუიო და ეკიპაჟი და ჩიბუხს შეექცეოდნენ.

ერთს საღამოს ცეცხლის მახლობლად მოკრეფილ ლუიოს სახლობამ შენიშნა ტყიდგან გამოსულ კაცის აჩრდილი, რომელიც პირდაპირ იმათკენ მიდიოდა. მოჟანდრი! დიახ, სწორედ დურგალი მოჟანდრი იყო. იგი საშინლად დაბერებულიყო, გათეთრებულიყო და წელში ორად მოკეცილიყო. ხელში უშველებელი ჯოხი ეჭირა. მოჟანდრი მიესალმა ლუიოს და მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

— მიღალატე, ფრანსუა? მენავეს ენა დაება.

— არა მე სრულიადაც არა ვჯავრობ და არც გაყვედრი!

დიასახლისს შეეცოდა დაღლილი მოხუცი, ყური არ ათხოვა ქმრის უგემურობას და საჩქაროდ შესთავაზა მოჟანდრს სკამი.

— იმედია, ავად არა ხარო! უთხრა დიასახლისმა მოხუცს.

— ცოტა ავად ვარ, გავცივდი მგონი.

მოჟანდრი მძიმედ და დაბლა ლაპარაკობდა. მან სთქვა, რომ ნიევრაში ვაპირებ გადასახლებასაო.

— რასაკვირველია, ვაჭრობას ვტოვებ. ეხლა მე მდიდარი ვარ. ბევრი ფული-კი მაქვს, მაგრამ რისთვის? ფულით ბედნიერებას ვერ ვიყიდი.

ფრანსუა მიწას არ აშორებდა თვალს და ისე უგდებდა ლაპარაკს ყურს.

— რაც ვბერდები, მით უფრო მიძნელდება განმარტოებითი ცხოვრება. წინად მუშაობა მართობდა, მაგრამ სიბერემ მუშაობისათვის საჭირო ძალ-ღონეც წამართვა. საკმარისი ვიშრომე. უკეთესია სხვა ადგილს გადავსახლდე, იქნება იქ მაინც რაიმე სანუგეშო მოვიპოვო.

მოხუცმა უნებლიედ გადიხედა ბავშვებისაკენ... სწორედ ამ დროს გუდურებ-აკიდებული ვიქტორი და კლარა გამოვიდნენ ტყიდამ. შენიშნეს თუ არა მოჟანდრი, დაჰყარეს გუდურები და მოხუცისკენ გამოიქცნენ. მოხუცი გადაეხვია პატარა მეგობრებს და მიუბრუნდა ლუიოს.

— ბედნიერი ხარ სწორედ, ფრანსუა! შენ ოთხი შვილი გყავს და მე-კი არც ერთი... ეჰ! რა გაეწყობა, ყველაფერში მევე ვარ დამნაშავე...

მოხუცმა გულ-ამოსკვნით ამოიოხრა და წამოდგა. ყველანი წამოიშალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებო ამ საღამოს რუსულის სიტყვიერების მასწავლებლის, ბ-ნ გროზდოვის, ახალი სამუსიკო პიესა იყო: „По Закавказью“. საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა მუსიკა და ტაშის კვრით დაასაჩუქრა ბ-ნი გროზდოვი. მუსიკა თავდება ჩვენის „მრავალ-ჟამიერით“. საზოგადოება უფრო ნაკლებად დაესწრო, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

*** **იქიდამვე**: 25 მარტს ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ გაჰმართა რუსული კონცერტი. ძლიერ უკლია ბ-ნ ქორიძეს ხოროს. დიდს დანაკლისს შეადგენს ხოროსთვის ქ-ნ ძნელაძის მოშორება. მოაკლდა ბ-ნი ჭლენტი და სხვები, რომლებსაც ხოროში პირველი ადგილი ეჭირათ. ეხლანდელს ხოროში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ ბ-ნ ჯანოანს და ქალ. ჭოლაძისას. ის-კი უნდა ვუსაყვედუროთ ბ-ნს ქორიძეს, რომ მან სრულებით დაივიწყა ქართული სიმღერები. მეტი არ იქნებოდა, რომ ხანდახან მაინც გაგვაგონოს ჩვენებური ხმები.

*** **ხიდნადი**: აღდგომის კვირაში ვაპირებთ ბალისა და წარმოდგენის გამართვას ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. იმედია კიდეც გავმართავთ და შეძლებისადა გვარად დავეხმარებით ამ პატივცემულს საზოგადოებას, თუმცა ზოგნი ამ კეთილის საქმის წინაალმდეგნი ბრძანდებიან. წარმოიდგინეთ, ზოგი უსაქმო ადამიანი, რომელმაც არ იცის თავი რითი ირჩინოს, ვინ იცის რა უგვანო და უსაფუძვლო ხმას არ ავრცელებს «წერა-კითხვის საზოგადოების» შესახებ. ეს სულითა და გულით გლახები რას არა ჰროშავენ: ყველას არწმუნებენ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“ კანონისა და წესიერების წინაალმდეგია და რაც მალე ჩავაქვავებთ, უკეთესი იქნებაო. მართალია, ეს კაცები ჰრევენ აქაურობას, მაგრამ მაინც იმედია, რომ აქაური საზოგადოება ამ უსაქმო კაცთა ლაპარაკს ყურადღებას არ ათხოვებს.

*** 28 ამ თვისას, „ბერლინის“ სასტუმროში, პირველის კავკასიის მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცმა, სვიმონ ფომიჩევმა, 24 წლისამ, რომელიც მოსამსახურედ იყო კაპიტან ფალავანდიშვილთან, თავის მოკვლა განიზრახა და რევოლვერი დაიცა საფეთქელში. ფომიჩევი გაგზავნეს სამხედრო სამკურნალოში.

*** 29 ამ თვისას, ღამით, მეშვიდე განყოფილებაში, დარიის მონასტრის ეზოს შესავალთან თავი დაირჩო სოფ. ყიჩიკის მცხოვრებმა ისრაელოვმა. მიზეზი რა იყო, არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

*** 28 ამ თვისას ქალაქის ექიმმა რუდკოვსკიმ პოლიციელების თანადასწრებით დაათვალიერა დუქნები და იპოვნა 2 ფუთი უვარგისი თევზი და 15 გირვანქა ხორცი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქუთაისი. 26 ამ თვისას ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება ჰქონდათ. ხალხი დიდის წოწმანით იკრიბებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეიკრიბა საკმაო რიცხვი წევრთა და და იწყო სხდომა. რჩევის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლ. ასათიანმა მოახსენა საზოგადოებას, რომ იგი შესდგომოდა კრების თავმჯდომარის არჩევას. საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაასახელა ბ-ნი ლოლუა, მეორემ-კი თვით ლ. ასათიანი. ასტყდა ერთი ყვირილი და ალიაქოთი. ყვირილი ორსავე მხრით დიდი იყო და კაცი ვერ გამოირკვევდა, რომელს უფრო მეტი მომხრე ჰყავდა. ცხადი შეიქმნა, რომ კენჭი უნდა ჩამოეტარებინათ. საზოგადოება არც ამაზე დასთანხმდა. ამ ყოყმანმა ერთი საათი გასტანა. ბოლოს, როცა მოილალნენ, შესაძლებელი შეიქმნა კენჭის ჩამოტარება. ბ-ნმა ლოლუამ უარი განაცხადა კენჭზე, აგრეთვე უარი სთქვა ბ-ნმა დ. ბაქრაძემ და დ. ლორთქიფანიძემაც, რომელნიც იყვნენ დასახელებულნი სათავმჯდომარო კანდიდატებად. ბ-ნს ასიათიანს ამოუვიდა 75 თეთრი და 46 შავი.

ბ-მა ასათიანმა დაიკავა თავმჯდომარის სავარძელი და მოახსენა საზოგადოებას სარევიზიო კომისიის აზრი. ამ კომისიას გაუსინჯავს საზოგადოების საქმეები და ყოველისფერში რიგიანობა და წესიერება აღმოუჩენია. ყველა საბუთის ქაღალდები შემოწმებულ იქნა კასისა და ბუხგალტერის წიგნებთან და მათ შორის სრული თანხმობა აღმოჩნდაო.

შემდეგ მოახსენა საზოგადოებას, როგორც რჩევის თავმჯდომარემ, თვით რჩევის მოქმედება და აზრი ბანკის შესახებ. მან ბრძანა, რომ თორმეტს სხდომაში, რომელიც რჩევას ჰქონია წლის განმავლობაში, თორმეტჯერ შევამოწმე ფული და სხვა განძეულობა და ყოველთვის რიგიანობა დამხვდაო. აგრეთვე გავსინჯე ვექსილები და სხვა სესხები და ვნახე, რომ ყველა სესხი დიდის სიფრთხილითა და თავდარიგიანობით გაუციაო ბანკს.

ამას შემდეგ ბ-ნმა ასათიანმა სთხოვა მსურველთ წარმოსთქვან, თუ რაიმე შენიშვნა აქვსთ შესახებ წლიურ ანგარიშისა. რადგან მსურველი არავინ გამოჩნდა, მან სიტყვა მისცა თვით ბანკის მმართველს, რომელმაც ვრცლად აგვიწერა და დაგვიხატა არა თუ წარსულის წლის ბანკის მდგომარეობა, არამედ მთელი იმისი ცხრა წლის თავ-გადასავალი. მან მოახსენა საზოგადოებას შემდეგი:

წარმოდგენილ ანგარიშიდგან სჩანს, რომ შარშანდელი წელიწადი ხვავიანი იყო ჩვენის ბანკისათვის. თუმცა ბანკის აღებ-მიცემა წინა წელზე ნაკლები იყო, მაგრამ შარშანდელი წმინდა მოგება 13,571 მან. 24 კ. აღემატება სხვა ყველა წლებისას, ასე რომ დივიდენდად თითო წევრს ას მანეთზე მოსდის 12 მან. 10 კ.

შარშან პროტესტში ჩავარდა 3,100 მანეთის ვექსილები. მათ რიცხვში შემოვიდა 1774 მან. 726 მანეთი მოგებიდგან გამოირიცხა და დარჩა 600 მანეთის ვექსილი გადაუხდელი, რომელიც სრულიად საიმედოა. მთელის ცხრა წლის განმავლობაში საჯანჯლოდ გახდომია ბანკს 4,552 მანეთის ვექსილები. ამ დაკარგულ (რასაკვირველია, დრომდე) ფულიდგან ბანკს ძალა-დაუტანებლად ამოუგია 1,730 მანეთი თავნი და 655 მ. 92 კ. სარგებელი და ჯარიმა. ბანკს აქვს სრული იმედი, რომ დანარჩენი 3,847 მანეთიდგან ამოიგოს კიდევ ათას ხუთასი მანეთი და 2,300 მანეთი-კი სრულად დაკარგულად მიაჩნიათ, მაგრამ თუ მივიღებთ სახეში ამოგებულ და ამოსაგებ თავნს ფულს მათის სარგებლის ჯარიმითა და საქმის საწარმოებელ ხარჯით, მაშინ ბანკს შეუძლიან სთქვას, რომ მთელის ცხრა წლის განმავლობაში არ დაუკარგავს არც ერთი გროში და თავნზედაც 12% მიუღია.

სასარგებლოდ შემოტანილი ფული შარშან გადაემეტა წინა წლისას 37,345 მანეთით. ეს ამტკიცებს, რომ ბანკისადმი ნდობა მატულობს. ესეც უნდა შევნიშნოთ აქ, რომ არც ერთი საურთიერთო ბანკი, არც ტფილისის და არც ოდესისა, იმდენს სარგებელს (7%) არ აძლევს სასარგებლოდ შემოტანილ ფულზე, რამდენსაც აძლევს ჩვენი ბანკი.

შემდეგ ბანკის მართველი ბ-ნი პ. თუმანიშვილი შეუდგა წმინდა მოგების აღრიცხვას. აღმოჩნდა, რომ ცხრა წლის განმავლობაში ბანკს დაურიგებია წევრთათვის დივიდენდად 57,966 მანეთი 35 კაპეიკი, პრემიად 22,047 მან. 25 კაპ., სულ 80,013 მან. 60 კაპ. ამას გარდა სათადარიგო თანხად გადუნახავს 10,325 მან. 6 კაპ. სულ შემდგარა ამ ცხრა წელიწადში წმინდა მოგება 90,338 მანეთი. თავისი მოხსენება ბ-ნმა თუმანიშვილმა დაასრულა იმითი, რომ იმ ნაირი დაწესებულება, როგორიც არის ჩვენი ბანკიო, დივიდენდის გაზვიადებას-კი არ უნდა სცდილობდეს, ეს სხვა ბანკების საქმეა, არამედ სესხის იაფად მიწვდენას წევრთათვის და რაც შეიძლება მომეტებულ სარგებლის ძლევას შენახულს ფულზე. ამ მხრით ჩვენი ბანკი ბევრს საუკეთესო ბანკს არ ჩამოუვარდებაო. ეს მოხსენება ბ-ნის თუმანიშვილისა დიდის სიამოვნებით და აღტაცებით მოისმინა საზოგადოებამ. ბრავოც დასძახეს. ამას შემდეგ, საზოგადოებას, რომელსაც არაფრად (ზოგიერთებს მაინც) ეპრიანებოდა ჯილდოების დარიგება და ჯამაგირის მომატება ბანკის მოხელეთათვის, გული მოულბა და რაც შეიძლებოდა, უხვად დაასაჩუქრა ბანკის მოხელეები. ქირით დაყენებულს მოხელეებს, რვა კაცს, ჯილდოდ დაუნიშნეს 600 მან. გამგეობის წევრთ ჯამაგირზე მიუმატეს 900 მანეთი: ოც-ოცი თუმანი დირექტორებს და ორმოც-და-ათი თავმჯდომარეს. წრევანდელი ანგარიში კრებამ ერთ-ხმად დაამტკიცა.

ამას გარდა ერთი ფრიად საყურადღებო საქმე გადასწყვიტეს. ეს გახლავთ ბანკის წესდების ერთის მუხლის შეცვლა იმ რიგად, რომ წმინდა მოგების ათის-თავი დაენიშნოს შესაწევრად ქალაქის სკოლას, რომელშიაც ეხლა მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიან ბავშვებს და დღეიდგან-კი ეს სკოლა სახელოსნო სკოლად უნდა გადაკეთდეს. საზოგადოებამ გადასწყვიტა

ნენ: მოქანდრი გამოეთხოვა ყველას და მიუბრუნდა ვიქტორს:

— მშვიდობით, ვიქტორ! ეცადე კარგად იშრომო! გიყვარდეს შენი მშობლები. დიდი ვალი გაწევს მათი! ემშვიდობებოდა და თან გაშტერებით დაჰყურებდა მოხუცი ბავშვს.

— გული მიკვდება, როცა ჩემი შვილი მაგონდება... ეხლა სწორედ შენოდენა იქნებოდა ისიც!..

იმის პირდაპირ გაბრაზებული იდგა ლუვო. სახეზე ეტყობოდა — ან ეხლა ეტყვის და ან ეხლა მოხუცს: „აღარ დაიკარგებიო!..“ მოქანდრმა დააპირა წასვლა. ლუვოს გადუარა სიბრაზემ, სიბრალულით აევსო გული და მიაძახა მოხუცს:

— მოქანდრ, სადილად ჩვენთან დარჩი... გულით-კი სთხოვა ლუვომ, მაგრამ თხოვნას შესაფერი კილო ვერ შეუფარდა. მოქანდრმა თავი გაიქნია:

— არა მშიან... ისეც გული მტკივა, როცა სხვის ბედნიერებას ვუცქერი, და კარგად ვგრძნობ, რომ საკუთარი ბედნიერება მევე მოვიშხამე...

მოქანდრი მძიმე ნაბიჯით გაეშურა შინისკენ. მთელი საღამო ლუვოს ხმა არ ამოუღია. ღამე გემის ჩარდახზე გაატარა და განთიადისას სახლობის ჩუმად საღლაც წავიდა. გასწია პირდაპირ სოფლის მღვდელთან, რომელიც სასოფლო ეკკლესიის გვერდით იდგა. მოხუცი მღვდელი ძველებურ შენობაში იყო დაბინადრებული, ხიძველისაგან გვერდზე წამოწოლილს სახლს წინ მშვენიერი ეზო და ბაღჩა ამშვენებდა. ეზოს ერთ მხარეს ქათმები დილის საუზმეს შეექცეოდნენ და მეორე მხარეს-კი საცოდავად ჰბღაოდა რქებით მიბმული ძროხა... მღვდელს ეს-ეს იყო გაეთავებინა საუზმე და ლოცვანის კითხვაში ჩასთვლემოდა, როცა ოთახში შევიდა ფრანსუა.

— შენა ხარ, ფრანსუა! რა ქარს გამოუტყუებიხარ?

ფრანსუა რჩევის საკითხავად მისულიყო და სთხოვა, ნება მიბოძეთ ჩემი დარდი გადმოგცეთო.

— ხომ მოგეხსენებათ, რომ მე არწივი არა ვარ, როგორც ჩემი ცოლი ამბობს ხოლმე, დაიწყო ფრანსუამ და დაწვრილებით უამბო ვიქტორის პოვნა და მისი აყვანის ამბავი.

— ხომ გახსოვთ, მამაო, რომ მოქანდრმა გითხრა, ქვრივი ვარო? ამ თხუთმეტის წლის წინად იმისი ცოლი წასულიყო პარიჟში ძიძის ალაგის საშოვნელად. თავისი ბავშვი ეჩვენებინა ექიმისთვის (ასეთი წესია თურმე იქ), უკანასკნელად მოეწოვებინა ძუძუ და გარდაეცა ვიღაც დედაკაცისათვის ქმართან წამოსაყვანად.

— როგორ თუ ვიღაც დედაკაცისათვის?

— დიახ, მამაო! პარიჟში არიან დედაკაცები, რომელნიც სწორედ ამ ხელობას აღვანან, ე. ი. ძიძის ბავშვებს ჩასხვავენ, უკაცრაულო პასუხია, კნუტებსავით კალათაში და სამშობლოში ქმარს ან სხვა დედის ნათესავს მიჰგვრიან.

— საკვირველი ხელობაა!..

— პატიოსანი ხალხიც არის ამ ხელობისა, რადგან ძიძაცა და ბავშვის მიმღებნიც კარგად აჯილდოვებენ მიმყვანს. უბედურს მოქანდრის ცოლს მეტად ულმერთო დედაკაცი შეჰხვედროდა. ის თურმე ამ გვარის ხელობით აგროვებდა ბავშვებს და შემდეგ ჰყიდდა უსაქმურ ხალხზე ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად.

— რაებს ჰბოდავ, ფრანსუა! შეუტია მღვდელმა.

— მართალს მოგახსენებ, მამაო! პარიჟში ეს ყოველ წამს და ყოველს ნაბიჯზე ხდება. აი ამ გვარის სულის მტერის ხელში ჩავარდნილიყო მოქანდრის ბავშვიც... მთელი ოთხი წელიწადი შეენახა ბავშვი. ბევრი სცდილიყო ბავშვისათვის მათხოვრობა ესწავლებინა, მაგრამ პატიოსან და თავ-მომწონე კაცის შვილს ვერ შეეთვისნა მათხოვრის ხელობა. გაბრაზებულს დედაკაცს უპატრონოდ მიეტოვებინა ბავშვი ქუჩაში. ექვსის თვის წინად სიკვდილის დროს სინიდისს დაეტანჯა და ყველაფერი ელიარებინა იმ დაწყევლილს... უნდა გითხრათ, მე არ ვიცი, რა გვარად სტანჯავს კაცს შერცხვენილი სინიდისი. ფრანსუამ თვალები ჰერს მიაბჯინა, თითქო ჰფიცულობსო. მაშინ იმას დაებარა კომისარისთვის, ემბნა ყველაფერი და ეთქვა ბავშვის ნამდვილი ვინაობა. კომისარმა ეს შემდეგ მე გარდმომცა... ის ბავშვი ვიქტორია...

გაოცებულს მღვდელს ლოცვანი ხელიდამ გავარდა.

— ვიქტორი მოქანდრის შვილია?!

— სწორედ!

მღვდელი მთლად დაიფანტა და რაღაცის ბუტბუტი დაიწყო. ბუტბუტში მხოლოდ ორიოდე სიტყვა ისმოდა:

— საწყალი ბავშვი... ღმერთო... განგებავ!..

უცებ წამოდგა მღვდელი და დაიწყო ოთახში სიარული. მცირე ხნის შემდეგ ხელები სარტყელში ჩაიწყო და ლუვოს წინ დადგა. მოხუცს სახეზე ეტყობოდა, რომ რაიმე ტექსტის მოგონება უნდოდა სამღვთო წერილიდამ, მაგრამ რომ ვერა მოიგონა-რა, უბრალოდ უთხრა ლუვოს:

— რაკი მაგრეა, ეს ბავშვი მამას უნდა დაუბრუნო.

ფრანსუა შეკრთა.

— საქმეც მაგაშია, თქვენო კურთხევავ! ნახევარი წელი სრულდება, რაც ეს ამბავი შევიტყე, და ჯერ არავისთვის, ცოლისათვისაც-კი, არ მითქვამს. განა მცირე შრომა და ხარჯი გვიზის ვიქტორის აღზრდა-შენახვა? იმასთან ერთად ბევრი მწუხარება, ბევრი სიამოვნება გამოვიარეთ და ყველანი ისე შევეჩვიენით ვიქტორს, რომ იმისი მოშორება მეტად შესაწუხებელი იქნება.

- ლუვომ უკანასკნელი სიტყვები იმ კილოთი სთქვა, რომ ნათლად გამოიხატა მისი სულიერი ტანჯვაწვალება. მღვდელს ასე უცბად ლუვოს სანუგეშო ვერა-რა მოეგონებინარა და რაც-კი შეეძლო, იწმენდდა სახეზე ოფლსა და ლოცვით იწვევდა წმინდანს საშველად. ბოლოს, რომ ვერა მოიფიქრა-რა, მიუბრუნდა ფრანსუას და ჰკითხა:

— ჩემს ალაგას თქვენ რომ იყოთ, რას გადასწყვეტდით!

მენავემ თავი ჩაღუნა.

— გაუგებარი აქ არა არის-რა, მამაო, მესმის, ვიქტორი უნდა დავუბრუნო მშობელს. მე ეს გუშინვე გადავსწყვიტე, როცა მოქანდრი გვეთხოვებოდა... სწორედ შესაბრალისია მოხუცი — ისეა დაღონებული და სულითა და ხორცით დაუძლურებული! თვალი თვალში ვერ გავუსწორე, თითქო იმის ჯიბიდამ ფულით სავსე ქისა მომიპარავს-მეთქი... მე ეღარ შევძელ დაფარვა სიმართლისა და იმის გასანდობად თქვენთან მოვედი!

— კარგადაც გინებებია, ლუვო! სჯობს შეცდომა ოდესმე გასწორდეს, ვიდრე არას დროს... ხელ-ახლავ წავიდეთ მოქანდრთან და ერთად ვუამბოთ ყველაფერი.

— ხვალ არ შეიძლება, მამაო?

— არა, ფრანსუა, ეხლავე...

მენავის სახეზე მღვდელმა შენიშნა საშინელი მღელვარება და დაუმატა:

— საქმის გახიახება და გაჭიანურება არ ვარგა, ჩემო ლუვო! რაც გადაწყვეტილია, ის მალეც უნდა შესრულდეს...

(დასასრული იქნება)

აგრეთვე თხოვნის განმეორება მინისტრის წინაშე შესახებ იმისა, რომ ბანკს ნება მიეცეს გარეშე კაცთაგანაც ფული აიღოს სასარგებლოდ, როგორც ეს მიღებულია სხვა საურთიერთო ბანკებში.

ბოლოს შეუდგნენ ბანკის მოხელეების არჩევას. უნდა ეყარათ კენჭი მმართველ ბ-ნ თუმანიშვილისა და სარევიზიო კომისიის წევრთათვის: ბ-ნთ ღულაძისა, პ. ლორთქიფანიძისა, ს. აბულაძისა, რჩევის წევრებისა: ლ. ასათიანისა, დ. ლორთქიფანიძისა და ის. ბუზიაშვილისათვის. ერთ-ხმად აირჩიეს ბ-ნი თუმანიშვილი, სარევიზიო კომისიის ყველა წევრი, რჩევის წევრები: ბ. ასათიანი და დ. ლორთქიფანიძე. ასტყდა ბაასი მხოლოდ ის. ბუზიაშვილზე და რადგან საზოგადოება ორ ბანკად გაიყო და სხდომა დიდხანს გაგრძელდა, ამისთვის კრების თავმჯდომარემ მეორე დღისათვის გადასდო სხდომა. მეორე დღეს, სალამოს შვიდსაათზე, შეკრბა საზოგადოება, მაგრამ დიდის აყალმაყალისა და შეტაკების გამო თავმჯდომარე იძულებული იყო შეეჩერებინა სხდომა, ასე რომ ეს საქმე, ესე იგი ერთის წევრის ამორჩევა, ჯერ-ჯერობით და ვგონებ მაისამდისაც გადაუწყვეტელი დარჩა.

ბესიკი

## გასართობი

### პაწია გოშიას მოთხრობა

(ქალაქის გამგეობის სამადლე ყუთში ნაპოვნი)

შთამომავლობით წმინდა გოშია ვარ. ჩემი მშობლები ერთს მასწავლებელს ემსახურებოდნენ და უკანა ფეხებით დადიოდნენ.

ამის წყალობით მშვენიერი სწავლა მივიღე, ორ ფეხზედ ადამიანისებურად კარგად ვიცი სიარული და ამას გარდა სხვა მეცნიერებაც ბევრი მაქვს შესწავლული. ერთმა გუდა-ფშუტა იტალიელმა, რომელსაც დიდი ხანია თავისი საყვარელი მაკარონი არ ეჭამა, მომიპარა, კიდევ ვიღასაც ორღანი დააძრო და დავიწყეთ ქუჩებში სიარული.

ჩემი პატრონი ორღანს აჭრიჭინებდა, მე უკანა ფეხებზედა ვსდგებოდი და ვცეკვავდი. ერთის სიტყვით, სწორედ ძაღლურს ცხოვრებას ვატარებდი. ამ მდგომარეობიდგან დამიხსნა ერთმა ჩემის ხელობის კაცმა—არტისტმა.

მომიპარა მეორღანესაგან და თავისს ცოლს, არტისტ-ქალს, მაჩუქა. აქ-კი თავისუფლად ამოვისუნთქე. არტისტ-ქალს დიდ-ძალი თაყვანის-მცემლები ჰყავდა და შაქრის პურებს მაჭმევდნენ ხოლმე, თუ დავჩუმდებოდი და არ დავიყეფებდი, როცა არტისტ-ქალის საპირფარეშოში ჩუმად მოიპარებოდა ვინმე.

ჩვენი ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა და სიცოცხლითაც უხვად ვსტკბებოდით, ვიდრე დიდ-მარხვა არ დადგა. დიდ-მარხვაში ჩამოუშვეს ჩიჩახვები ჩემმა არტისტებმა, კუჭის საზრდო ველარ ეშოვნათ. სიმშილისაგან კუდ-დაშვებული დავდიოდი. სიმშილის ერთს დღეს დავინახე, რომ ჩემის ქალბატონის ქმარმა ცეცხლი გააჩინა და წყალს ადუღება დაუწყო. იმედი გამიცხოველდა და სიხარულით წკმუტუნი დავიწყე—სიმშილის წამალი გვიშოვნია-მეთქი.

— რა ენდა მოხარშოვო?—დაეკითხა ცოლი.

— რა და ჩვენი წკმუტუნა... გოშია. მშვენივრად ვისამხრებთო, უპასუხა ქმარმა.

დასწყევლოს ღმერთმა! ამ სამხარში მონაწილეობის მისაღებად კრიჭა შემეკრა, ამოვიძუე კუდი და ფრთხილად დავახწიე თავი.

დიდხანს არ ვიწანწალე ქუჩებში, ვიღაც თვალებ-დაბრიალებულმა და მრისხანე სახის კაცმა წამავლო ხელი.

ოჰ, რომ იცოდეთ რა კაცი იყო! დევ-გმირსა ჰგავდა და მამათ-მთავარი ჩემის ჯიშისა უნდა ჰყოლიყო, რადგან სულ იყეფებოდა, იღრინებოდა და მოსვენებას არავის აძლევდა. მიმიხვდით? რეცენზენტ-მწერალი გახლდათ და ამიტომ იყო ბოროტი და ამაყი. ყოველ წუთს უკანა ფეხებზედ სიარულს მიბრძანებდა და თან მემუქრებოდა:

— მე შენ გაჩვენებ, ასე გაგპენტო კალმის წვერით, რომ სულ ნაბუარი აგდიოდესო!..

ბოლოს და ბოლოს ისე გაავდა, რომ კბენა დამიწყო. ველარ მოვითმინე და თავს ვუშველე.

დავრჩი კვლავ უსავანედ, კვლავ ხეტიალი დავიწყე. გარიყრაყისას მარყუჟად შეკრული თოკი ჩამიგდეს კისერში და რაღაც-დახურულს ეტლში გადამიძახეს. აქ ჩემის ტომის ხალხი ბევრი შემხვდა. არ მესმოდა, რას მერჩოდნენ, რას მედავებოდნენ, ხარჯი ჩვენზე ჯერ არ იყო დაწესებული. ბოლოს ახალმა გაცნობილებმა მიამბეს: ამ უცხო ქალაქის გამგეობას წყალი გამოეყვანა, ვალი დასდებოდა და ჩვენისთანა უშემწეოთ აძრობდა ტყავს, რომ ფული აეყენებინა...

აქ უნდა შევსწყვიტო ჩემი დღიური, აღარ ვიცი, რა დამემართება. ჩემი წარსული ამბავი რომ დაწვრილებით ამეწერა, მშვენიერი რომანი გამოვიდოდა, მაგრამ არც დრო მაქვს ამ ჟამად და არც გარემოება მიწყობს ხელს...

## დეპეშა

29 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულია დადგენილობა სახელმწიფო საბჭოსი: შაქრის ქარხანის მთელის აქციზის დამოუკიდებლად, ყოველს წელიწადს, აპრილის პირველს ნახევარში, წინასწარ უნდა გამოიანგარიშონ აქციზი. შაქრის კეთების დაწყებიდგან ნაანგარიშევი აქციზი უნდა შეიტანონ პირველს ივლისს, პირველს სექტემბერსა და პირველს დეკემბერს: პირველად —არა ნაკლები ერთის მესამედისა, მეორე ვადაზე—იმდენი, რომ პირველს ვადაზე შეტანილთან ერთად ორი მესამედი შესდგეს და დანარჩენი ერთი მესამედი – მესამე ვადაზე. თუ თავისს დროზე არ შეიტანეს აქციზი, მაშინ თვეში 2% უანგარიშებენ. ეს ახალი წესი შემოღებულ უნდა იქმნას 1889—1890 წლებში.

უმაღლესად ნაბრძანებია: წმ. გიორგის მეორე ხარისხის ორდენის პენსიონერებისათვის თხუთმეტი ვაკანსია უნდა იყოს, პენსიისათვის, 10,000 მანეთის მაგიერ, დანიშნულია 6,000 მან. იმ ოთხის ათასის მანეთისა, რომელიც 10,000 მანეთიდგან რჩება, უნდა მიემატოს 25 ვაკანსია წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენის პენსიონერებისათვის.

უმაღლესად ნაბრძანებია: გზათა ინჟენერის წოდება უნდა ატარონ არა მარტო იმათ, ვისაც სწავლა გზათა საინჟენერო ინსტიტუტში დაუმთავრებიათ, არამედ სამხედრო ინჟინერებმაც, რომლებიც გზათა სამინისტროს სამსახურში შევლენ, სამოქალაქო ინჟინერებმაცა და უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულებმაც.

ლონდონი. „Daily News“-სატყობინებენ დეპეშით თეირანიდგან, რომ 8 აპრილს (ახალის სტილის ანგარიშით), სპარსეთის მართებლობამ ხელი მოაწერა რუსეთთან ხელ-შეკრულობაზე, რომლის ძალითაც ციხე კელატ-ნადირი რუსეთს დაუთმო.

ბელგრადი. მართებლობამ სთხოვა მიტროპოლიტს მიხეილს სერბიაში დაბრუნდიო.

ბერლინი. სამხედრო მინისტრად ბრონსარის მაგიერად დანიშნულია ვერდი-დიუ-ვერნაუ.

სოფია. მინისტრად ნამყოფ როდოსლავოვსა და იკანჩევს, რომლებიც სამართალში მისცეს პრინც კობურგის ბეჭდვით შეურაცხყოფისათვის, სასამართლომ გადაუწყვიტა ერთის წლის ვადით დამწყვდევა.

რომი. მასსოვიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ ნეგუსმა სიკვდილის წინ მემკვიდრედ დანიშნა თავისი ძმის-წული მანგაშია.

ბუქარესტი. რადგანაც კატარჯიმ არ იკისრა კაბინეტის შედგენა, ამიტომ მეფემ ეს საქმე დაავალა გენერალ ფლორესკს. ახალს კაბინეტში, როგორც სჩანს, ადგილი ექნებათ როზეტის სამინისტროს ზოგიერთს წევრებს.

### პეტერბურგის 28 მარტი ბირჟა.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 148 3/4 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა | — „ | — „ | 242 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადები—6.
მარტი 31 დღით არის.

30 დღე ხუთშაბათი, ღირსისა იოანე კლემაქსი აღმწერელისა. კათოლ. წმ. ქვრ. ანგელიკასი. მაჰმად. მე-11 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უკანასკნელ მეფე გიორგის მეუღლე მარიამი გარდაიცვალა მოსკოვს და გვამი მცხეთის ტაძარში მოასვენეს, 1851 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—37. მთვარე 11 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 „
„ 2 „ 8 „
სუკი . . . . 16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 10 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

## განცხადებანი

### წიგნის მაღაზია
კ. ი. ნოდიასი
ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველნაირი სამწერლო მასალები და ნივთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავეა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში. (10—3)

№ 4711
რეინ-ბუკეტი
სურნელოვანებათა:
ალპიის ყვავილებისა, ყვითელის იისა, იასამანისა, ვარდ-შროშანასი, ზამბახისა, ოპოპონაქსისა, რეზედასი, რეინის ვარდისა, რეინის იათა, რეინის ყვავილთა და ძეწნასი.
ჩინებული მაგარი და იაფი სურნელოვანი წყლები ცხვირსახოცებისათვის.
შუშა ¼ გირვანქიანი ჰღირს
1 მან. 25 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (4—3)

### სიჭაბუკის ცოდვა
ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.
თხზ. დ—რის ლორენცისა.
რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.
ფასი ერთი მანათი.
ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.
წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.
საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან. (52—8)

საწყობი
პროვიზორის
ა. მ. ოსტროუმოვისა
თმის ჩამოსვლისა და თეთრის ასაცილებლად.
სიყალბის ასაშორებლად, ნამდვილი საზოგი ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიკზე უძევს მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა
№ 3374.
ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ჰღირს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში. საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—10)

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. კუთათელაძესაგან | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკული ამოცანებისა, რ. ჯავახიშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |

იაფად გასყიდვა საქონლისა
## მხოლოდ დღესასწაულამდე
ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში
ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქერსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლამპრები, ჭურჭელი, საყმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი. (10—4)

РОСКОШНОЕ ИЗДАНІЕ.

**Большая хромо-фото-литографическая точная копія съ знаменитой картины художника А А. Иванова**

## «ЯВЛЕНІЕ ХРИСТА НАРОДУ».

*Съ подлинника, хранящагося въ Московскомъ Публичномъ Румянцевскомъ Музеумѣ.—Огромныхъ размѣровъ хромо-фото-литографія художественно исполненная—Пояснительный историко-біографическій текстъ составленъ И. Θ. Токмаковымъ.*

*Картина* „Явленіе Христа Народу“, *писанная художникомъ А. А. Ивановымъ въ теченіе* тридцати лѣтъ,—*сдѣлала цѣлую эпоху въ русской живописи; знаменитые художники, какъ то: Крамской, А. Праховъ и многіе друг., нашли, что* означенная картина болѣе проникнута истинно-религіознымъ духомъ и вѣрнѣе, въ историческомъ отношеніи, библейскому характеру событій, *чѣмъ всѣ досель извѣстныя заграничныя картины и иллюстраціи подобнаго рода, не исключая и* Доре.

*Н. В. Гоголь въ своемъ знаменитомъ этюдѣ о картинѣ:* „Явленіе Христа Народу“ *раскрылъ намъ величіе истинно-русскаго и православнаго творчества Иванова и указалъ на него, какъ на главу русской живописи; это же подтверждаетъ и А. Праховъ въ статьѣ своей: Матеріалы для біографіи А. А. Иванова (жур. „Пчела“ за 1875 г. № 23 и № 24). Равно какъ о помянутой картинѣ были вполнѣ сочувственные отзывы въ журналахъ „Воскресный Досугъ“ 1867 г. № 231 и „Иллюстрированная Недѣля“ 1874 г. Нельзя такъ же не указать и на отзывъ Архимандрита Θеодора о картинѣ Иванова СПБ. 1859 г.*

**Цѣна хромо-фото-литографической картинѣ:** *Лакированная на бумагѣ—1 р. 50 коп., на холстѣ 2 р. 50 коп. За пересылку и упаковку на скалкѣ 50 коп. Подписавшимся на 10 и болѣе экз.—20% уступки.*

Адресъ: Мясницкая, магазинъ церковныхъ утварей Сытовы сыновья, соб. домъ.

*(5—1)*

Доз. ценз. Тифлисъ 29-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე